საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსი

ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულებით

საკონკურსო კომისიის

სხდომის ოქმი №2

ქ. ბათუმი 11.02. 2020 წელი

საკონკურსო კომისიის წევრები:

1. იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულებით:

ირაკლი გორგილაძე - ასოც. პროფესორი, იურიდიული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის მიმართულებით:

ნანა ზარნაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

3. ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების მიმართულებით:

ავთანდილ მესხიძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, განყოფილების უფროსი;

4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით:

მერაბ ფუტკარაძე -ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ასოცორებული პროფესორი.

5. გურამ გვარიშვილი --ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი.

დღის წესრიგი:

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 27 დეკემბრის №01-02/ 215 ბრძანებით გამოცხადებული ბსუ-ში 2020 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევ კონკურსში ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულებით წარმოდგენილი პროექტების განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა.

მოისმინეს: 1. კომისიის წევრის ნანა ზარნაძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ:

წარმოდგენილია ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულებით მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი 6 (ექვსი) პროექტი.
კომისიამ დეტალურად განიხილა წარმოდგენილი პროექტების დოკუმენტაციის შესაბამისობა საკონკურსო დებულების მოთხოვნებთან. წარმოდგენილი საგრანტო პროექტები არ მოდის წინააღმდეგობაში დებულების მოთხოვნებთან და ექვემდებარება განხილვას.

წარმოდგენილია შემდეგი პროექტები:

1. **„კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი ლანდშაფტის ეკოსისტემური სერვისები, კონსერვაცია და გონივრული გამოყენება“ -სამეცნიერო ხელმძღვანელი: იზოლდა მაჭუტაძე, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის უვადო მეცნიერი თანამშრომელი;**

ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:

1) რეზო გორაძე; ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მეცნიე-თანამშრომელი;

2) რეზო პაპუაშვილი; არქეოლოგი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, მეცნიერ -თანამშრომელი

3) თამარ ბაკურაძე - გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“ / კონსულტანტი გ გარემოს დაცვის, სივრცული დაგეგმვის და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების საკითხებში

დამხმარე პერსონალი:

1) ქეთი მემარნე - ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის კოლხეთის ტორფნარებისა და წყლის ეკოსისტემების კონსერვაციის განყოფილების ლაბორანტი.

სტუდენტები:

მაგისტრატურის:

1) მიხეილ ჯინჭარაძე-საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის II სასწავლო წლის სტუდენტი;

2) ლუკა კურტანიძე- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის I სასწავლო წლის სტუდენტი;

3) ლანდა ფუტკარაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის I სასწავლო წლის სტუდენტი;

4) ლიკა ღლონტი - ტურიზმის ფაკულტეტის II სასწავლო წლის სტუდენტი;

ბაკალავრიატის:

1) თებრონე ფაღავა- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: *---19820 ლარი (ცხრამეტიათას რვაასოცი ლარი), მათ შორის* პროექტის მონაწილეთა შრომის ანაზღაურება - 5950 ლარს, სახელმძღვანელოს ბეჭდვა - 4500 ლარს, საკანცელარიო -200 ლარს, პრეზენტაცია -500 ლარს, საველე ლექციები -7820 ლარს და ტრანსპორტი ხარჯი - 800 ლარს.

2. „შხამიანი მცენარეები აჭარის ადგილობრივ და ინტროდუცირებულ ფლორაში (ეთნო-ბოტანიკური) შესწავლა". -სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ მეტრეველი, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:

1) როინ მალაყმაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი.

დამხმარე პერსონალი:

სტუდენტები:

სადოქტორო პროგრამის:

1) სულხან მამულაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე სასწავლო წლის დოქტორანტი;

მაგისტრატურის:

2) გიული ქათამაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სასწავლო წლის სტუდენტი;

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 19785 (ცხრამეტიათას შვიდასოთხმოცდახუთი) ლარი;

პროექტის შესახებ საერთო ინფორმაცია: შრომის ანაზღაურება შეადგენს - 6785 ლარს, მივლინება - 9785 ლარს, საქონელი და მომსახურება - 2000 ლარი .

3. „ზოგიერთი ენდემური მცენარეული ნედლეულის კვლევა და ფუნქციური კვების პროდუქტების ტექნოლოგიის შემუშავება და დემონსტრირება" - სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის პროფ. ალეკო კალანდია;

ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:

1) ნათელა ვარშანიძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

დამხმარე პერსონალი:

სტუდენტები:

სადოქტორო პროგრამის:

1) ინგა ქარცივაძე -ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის პროგრამის დოქტორანტი;

2) ელზა მაკარაძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის პროგრამის დოქტორანტი

სამაგისტროს:

1)მარი ბურძგლა - -ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების II სასწავლო წლის სტუდენტი, კვალიფიკაცია: სასურსათო ტექნოლოგია;

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 20 000 (ოციათასი) ლარს;

პროექტის შესახებ საერთო ინფორმაცია: შრომის ანაზღაურება შეადგენს - 5800 ლარს, საქონელი და მომსახურება -5 200 ლარს, ძირითადი აქტივები - 9000 ლარს.

4. „ახალშობილთა სისხლის ერითროციტური ჯგუფური ანტიგენ-ანტისხეულების იმუნოგენეტიკური მახასიათებლების შეფასება“ სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - მარინა ნაგერვაძე;

ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:

1) **მარინა ქორიძე-** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

2) რუსუდან ხუხუნაიშვილი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი;

3) ქეთევან დოლიძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი.

4) ლეილა ახვლედიანი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

5) ჯუმბერ უნგიაძე -ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის კლინიკური მედიცინის დეპარტამენტის პროფესორი.

6) თეა ქოიავა - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ასისენტ-პროფესორი.

დამხმარე პერსონალი:

შორენა გაბაიძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის დარგობრივი სპეციალისტი;

სტუდენტები

დოქტორანტურის:

ირინე ცინცაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტი;

მაგისტრატურის:

ქეთევან ფოტოვა - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის პირველი სასწავლო წლის მაგისტრანტი;

ჯილდა გობაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის პირველი სასწავლო წლის მაგისტრანტი;

თეონა ფუტკარაძე -ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის პირველი სასწავლო წლის მაგისტრანტი;

გიორგი ჯანანაშვილი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ჯანდაცვის სპეციალობის სტუდენტი;

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 19100 (ცხრამეტიათას ასი) ლარს;
პროექტის შესახებ საერთო ინფორმაცია: შრომის ანაზღაურება შეადგენს - 7100 ლარს, საქონელი და მომსახურება -12 000 ლარს.

5. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომების ბიბლიოგრაფიული საძიებლის (კატალოგის) მომზადება“ - სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის პროფესორი - მურმან გორგოშაძე;

ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:

1) ნანა ცეცხლაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

დამხმარე პერსონალი:
სამაგისტრო:
1) თალიკო დავითაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტი.

საბაკალავრო:
1)გია ჩხაიძე, იურიდიული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობის მესამე კსასწავლო წლის სტუდენტი.

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 10500 (ათიათას ხუთასი) ლარს;
პროექტის შესახებ საერთო ინფორმაცია: შრომის ანაზღაურება შეადგენს - 4100 ლარს; მივლინება -500 ლარს; საქონელი და მომსახურება -2900 ლარს; ძირითადი აქტივები 3000 ლარს.

6. „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერების დიგიტალიზაცია (სოციოკულტურული და ფსიქოლინგვისტური ანალიზი) სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტ. პროფესორი მზია ხახუტაიშვილი.

ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:

1) ნანა ცეცხლაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

2) გრიგოლ კახიანი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასისენტ-პროფესორი;

3) თამილა დილავეროვა - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული უფროსი მასწავლებელი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი.

დამხმარე პერსონალი:
სტუდენტები:
სამაგისტროს:
1) შორენა ცეცხლაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ლინგვისტიკის პროგრამის მაგისტრანტი;
ბაკალავრიატის:
2) კახი კახიძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის კომპიტერული მეცნიერებების სპეციალობის მსამე სასწავლო წლის სტუდენტი.

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 19920 (ცხრამეტიათას ცხრაასოცი) ლარს;
პროექტის შესახებ საერთო ინფორმაცია: შრომის ანაზღაურება შეადგენს - 7920 ლარს; მივლინება -5400 ლარს; საქონელი და მომსახურება 3100 ლარს; სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება - 1400, საკანცელარიო საქონელი 500 ლარს, სხვა ხარჯები-2100 ლარს.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრის ნანა ზარნაძის განმარტებით: ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსი ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულებით (2020 წ.) საუკეთესოდ მიმაჩნია პროექტი: **„ახალშობილთა სისხლის ერითროციტური ჯგუფური ანტიგენ-ანტისხეულების იმუნოგენეტიკური მახასიათებლების შეფასება“ სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - მარინა ნაგერვაძე;** (95 ქულა).

საკვლევი პრობლემა მეტად აქტუალურია, მიზნები, ამოცანები და შედეგები კარგადაა ჩამოყალიბებული. მოსალოდნელი შედეგები ემთხვევა მიზანს, მაღალია ძირითად შემსრულებელთა კომპეტენცია. წარმოდგენილი კვლევა მნიშვნელოვანია პრაქტიკული თვალსაზრისით, ხოლო შემდგომში კვლევების გაფართოების შედეგად იგი უფრო მეტ დატვირთვას შეიძენს სამედიცინო პრაქტიკაში.

რაც შეეხება, მაგალითად, **„კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი ლანდშაფტის ეკოსისტემური სერვისები, კონსერვაცია და გონივრული გამოყენება“ -სამეცნიერო ხელმძღვანელი: იზოლდა მაჭუტაძე, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის უვადო მეცნიერი თანამშრომელი;** არ არის თანმიმდევრულად ფორმულირებული მიზნები, ამოცანები და შედეგები, არ არის ლოგიკური კავშირი ამოცანებს და შედეგებს შორის. საკითხის შესწავლის წარმოდგენილი სტრუქტურა და მეთოდოლოგია არ არის კარგად აღწერილი. კვლევა თითქმის არ არის მიუხედავად ხელმძღვანელის ძალიან მაღალი კომპეტენციისა. საინტერესოა ქალბატონ მზია ხახუტაიშვილის ნაშრომი, ნამდვილად დიდი მოცულობის პროექტია, მიზანი და ამოცანები რეგიონისთვის და ზოგადად ქართული ხელნაწერთა ფონდისთვის უსაზღვრო იქნება, მაგრამ კარგი იქნებოდა წინასწარი მოთელვითი სამუშაოების ჩატარება,რათა ეჭვი არ გამოიწვიოს მასალის შეგროვების ირგვლივ.

კომისიის წევრმა ირაკლი გორგილაძემ აღნიშნა, რომ, რაკი კომისია ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულებითაა შეკრებილი უნდა გავითვალისწინოთ პროექტების სპეციფიკურობა და დავიცვათ მაქსიმალური ობიექტურობა, რაც აღნიშნულ სიტუაციაში მეტად ძნელია. პირველ რიგში პროექტის სათაურიდან გამომდინარე აუცილებლად ჩავთვალე განმესაზღვრა პროექტების მნიშვნელობა რეგიონისათვის რაც აისახა ჩემს შედეგებში. გამომდინარე უნივერსიტეტის სტრატეგიიდან უნდა დაფინანსდეს მეტადრე კვლევების მატარებელი პროექტები, ამ ნიშნით მეტად აქტუალური და საინტერესო იყო ქალბატონ მარინა ნაგერვაძის და ქალბატონ მზია ხახუტაიშვილის ხელმძღვანელობით წარმოდგენილი პროექტები. ისინი გამოირჩევა საკვლევი ობიექტის მნიშვნელობით, მოსალოდნელი შედეგების მეცნიერული დასაბუთებით, კომპეტენტური მონაწილე პერსონალით და შედეგების ვალიდურობით.

კომისიის წევრმა ავთანდილ მესხიძემ აღნიშნა ქალბატონ მარიკა მეტრეველის ხელმძღვანელობით წარმოდგენილი საგრანტო პროექტის მნიშვნელობა და პერსპექტივა. მისი აზრით მიზანი და ამოცანები მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული, მოტანილი აქვს პროექტში კონკრეტულ სამუშაოთა ჩამონათვალი, რომლითაც მიიღწევა პროექტის მიზანი.

რაც შეეხება მ.გორგოშაძის მიერ წარმოდგენილ პროექტს, ვთვლი, რომ გამოყენების პრაქტიკული მხარე ნაკლებ ეფექტურია.

კომისიის წევრმა თამაზ ფუტკარაძემ აღნიშნა, რომ ყველა პროექტი იმსახურებს დადებით შეფასებას, მაგრამ გამოვყოფდი ქალბატონ მარინა ნაგერვაძის მიერ წრმოდგენილი გრანტის უპირატესობას სხვა ნაშრომების ფონზე, პროექტის ნებისმიერი საკითხი არის არსებითად დასაბუთებული და არგუმენტირებულია საკვლევი პრობლემის აქტუალობა, გააზრებული და ჩამოყალიბებულია დასმული პრობლემის გამომწვევი მიზეზები, პროგნოზირებულია მოსალოდნელი შედეგები, მეთოდოლოგიურად დასაბუთებულია მისი ორიგინალური გადაჭრის გზები და მიზანშეწონილობა, ამიტომ აფასებს 100 ქულით.

პროექტთა შეფასებები: თითოეული პროექტი შეფასდა დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად (ინდივიდუალური შეფასებები თან ერთვის ოქმს).

გამოვლინდა გამარჯვებული პროექტი: „ახალშობილთა სისხლის ერითროციტური ჯგუფური ანტიგენ-ანტისხეულების იმუნოგენეტიკური მახასიათებლების შეფასება“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - მარინა ნაგერვაძე, შეფასებით 95 ქულა.

კომისიის გადაწყვეტილებით მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულებით მეორე ეტაპზე მონაწილეობისთვის რეკომენდაცია მიეცა შემდეგ პროექტს: ,,შხამიანი მცენარეები აჭარის ადგილობრივ და ინტროდუცირებულ ფლორაში (ეთნო-ბოტანიკური) შესწავლა". - სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ მეტრეველი, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, (93 ქულა).

დაადგინეს:

1. ინდივიდუალური შეფასების შედეგებით კომისიის გადაწყვეტილებით თითოეული პროექტს მიენიჭა შემდეგი ქულები:

კომისიის წევრები	ი. მაჭუტაძე	მ. მეტრეველი	ა. კლანდია	მ. ნაგერვაძე	მ. გორგიშაძე	მ. ხახუტაიშვილი
ნ. ზარნაძე	85	90	92	100	86	90
ა. მესხიძე	78	100	75	79	78	76
ი. გორგილაძე	80	93	92	100	81	99
თ. ფუტკარაძე	83	88	94	100	86	90
საშ. არითმეტ	82	93	88	95	83	89

2. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულებით გამარჯვებულად გამოცხადდა შემდეგი პროექტი: „ახალშობილთა სისხლის ერითროციტური ჯგუფური ანტიგენ-ანტისხეულების იმუნოგენეტიკური მახასიათებლების შეფასება" სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - მარინა ნაგერვაძე, შეფასებით 95 ქულა.

3. კომისიის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის ინტერდისციპლინური კვლევების

მიმართულებით მეორე ეტაპზე მონაწილეობისთვის პროექტს: ,,შხამიანი მცენარეები აჭარის ადგილობრივ და ინტროდუცირებულ ფლორაში (ეთნო-ბოტანიკური) შესწავლა". - სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ მეტრეველი, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, შეფასებით 93 ქულა.

საკონკურსო კომისიის თავჯდომარე:

მდივანი: